პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

26 დეკემბერი

სამშაბათი,
№ 212 (1848)
1961 წ.
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროექტი დამტკიცდა

მოსკოვში შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პლენუმი, რომლის დღის წესრიგში ერთ-ერთ მთავარ საკითხად იდგა 1962 წლის საფეხბურთო სეზონის ღონისძიებათა ჩატარება. მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გრანატკინი.

პლენუმმა დაამტკიცა სსრ კავშირის 1962 წლის პირველობისა და თასის ჩატარების პროექტი. ჩემპიონატის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს 22 გუნდი, რომლებიც დაყოფილი არიან 2 ჯგუფად. აი ჯგუფების შემადგენლობანი:

I ჯგუფი

„დინამო" (კიევი), ცსკა, „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „სპარტაკი" (ერევანი), სკა (როსტოვი), „შახტიორი" (დონეცკი), „ზენიტი" (ლენინგრადი), „მოლდოვა" (კიშინიოვი), „კაირატი" (ალმა-ატა), „სპარტაკი" (ვილნიუსი), „დაუგავა" (რიგა).

II ჯგუფი

„ტორპედო" (მოსკოვი), „სპარტაკი" (მოსკოვი), „ავანგარდი" (ხარკოვი), „დინამო" (თბილისი), „პახტაკორი" (ტაშკენტი), „დინამო" (მოსკოვი), „დინამო (ლენინგრადი), „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი), „ნეფტიანიკი" (ბაქო), „ბელარუსი" (მინსკი), „ტორპედო" (ქუთაისი).

სსრ კავშირის XXIV ჩემპიონატი დაიწყება 2 მაისს და გასტანს 18 ნოემბრამდე. თვითეულ ჯგუფში წინასწარი თამაშების შემდეგ პირველ 6 ადგილზე გამოსული გუნდები, ე. ი. სულ 12 გუნდი შექმნის ფინალურ ჯგუფს, სადაც ბრძოლა იწარმოებს ოქროს მედლებისათვის. აქ გასული გუნდებს ჩაეთვლებათ მხოლოდ ის ქულები, რომლებიც მათ მიიღეს თავიანთი ჯგუფიდან პირველ 12 ადგილზე გამოსულ კოლექტივებს შორის ნათამაშევ მატჩებში.

18 სექტემბრიდან დაიწყება გათამაშების დასკვნითი მატჩები.

„ბ" კლასის გუნდები დაყოფილი არიან 9 ზონად. აქედან 5 ზონა შექმნილია რუსეთის ფედერაციაში, 2 — უკრაინაში და 2 — მოკავშირე რესპუბლიკებში.

„ბ" კლასში ბოლო 3 ადგილზე გამოსული გუნდები 1963 წლისათვის გადავლენ „ბ" კლასში. მათს ადგილებს დაიკავებენ: რსფსრ-ს ჩემპიონი, უკრაინის ჩემპიონი და მოკავშირე რესპუბლიკათა ზონებს შორის გამარჯვებული გუნდი.

1963 წლის საკავშირო ჩემპიონატი განზრახულია ჩატარდეს 22 გუნდის მონაწილეობით ორ წრედ, ჯგუფებად დაყოფის გარეშე.

მსოფლიო პირველობისათვის სსრ კავშირის ნაკრები გუნდის უკეთ მომზადების მიზნით ნაკრების წევრები თავიანთ გუნდებში ვერ ითამაშებენ ივნისის დასასრულამდე.



სურათზე: საბჭოთა კავშირის 1961 წლის აბსოლუტური ჩემპიონატის პრიზიორები. მარცხნიდან — ბ. შახლინი, ი. ტიტოვი და ი. კაპენკო.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ტურნირი გრძელდება

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობის II ტურში გამოირჩეოდა „ბურევესტნიკისა" და „ტრუდის" გუნდების შეხვედრა. ბურევესტნიკელებს პირველი ქულა მოუტანა ნ. გაფრინდაშვილმა, რომელმაც მეტად ლამაზად დაამარცხა მოსკოვის არაერთგზის ჩემპიონი ოსტატი ა. კუშნირი. აი ეს პარტიაც:

ა. კუშნირი — ნ. გაფრინდაშვილი

ინგლისური დაცვა

1. c4 მ16 2. g3 g6 3. კg2 კg7 4. მc3 0—0 5. e3 e5 6. b4 c6 7. ლb3 d6 8. მge2 კe6 9. d4? (სერიოზული შეცდომა, რასაც ნონა იყენებს კომბინაციური გზით—სწირავს ხარისხს) 9. ...b5 10. მ:b5 (სხვა უკეთესი არ ჩანს. 10. d5 მოჰყვებოდა 10 ...cb 11. ლ:c4 cd და პაიკის აყვანა d5-ზე არ შეიძლება წასაგები პოზიციის ძლევის გამო) 10. ...cb! 11. კ:a8 კ:c4 12. ლb2 d5 13. 0—0 მd7 14. a4 მb6 15. კb7 მ:a4 16. g:a4 ba 17. e4 (სხვანაირად ძნელია უშველო კუ b7-ს) 17. ...de 18. dea3! 19 ლc2 ლd3 კუშნირი დანებდა.

შეუპოვარი ბრძოლით აღინიშნა ვ. სმისლოვისა და ვ. კორჩნოის შეხვედრა. პარტია თითქმის 8 საათს გაგრძელდა. მხოლოდ 70-ე სვლაზე შეწყვიტა კორჩნოიმ წინააღმდეგობა. პირველი დამარცხება განიცადა მსოფლიო ჩემპიონმა ქალთა შორის ე. ბიკოვამ, რომელსაც მოუგო ლ. ვოლპერტმა. „ბურევესტნიკმა" მატჩი მოიგო ანგარიშით 7:3 და ხელთ იგდო ლიდერობა.

„დაუგავა"-„სპარტაკის" მატჩში მოხდა ის, რომ მათი ლიდერების მ. ტალისა და ტ. პეტროსიანის შეხვედრამ განაპირობა საყიმოშედეგი. ორთაბრძოლა დამთავრდა ყაიმით — 5:5.

„ავანგარდისა" და არმიელთა შეხვედრაში უკანასკნელებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს. ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 6,5:2,5 „ავანგარდის" მოჭადრაკეთა სასარგებლოდ. ერთ გადადებულ პარტიასაც ისინი იგებენ.

გადადებული პარტიების დამთავრებისას გამოირკვა გუნდების მდგომარეობა. ცსკა-მ მოუგო „სპარტაკს" — 7:3. ამ მატჩში პეტროსიანი დანებდა გელერს. „ბურევესტნიკმა" სძლია „დაუგავას" — 5,5:4,5 „ტრუდმა" გაიმარჯვა „ავანგარდთან" — 6,5:2,5.

IF ტურის შემდეგ „ბურევესტნიკს" 12,5 ქულა აქვს, „ავანგარდს" — 10 და ერთი გადადებული პარტია.

პროგნოზი და სინამდვილე

იშვიათია ძალოსანთა დიდი მასშტაბის შეჯიბრება მსოფლიო რეკორდის გარეშე. ასე იყო მიმდინარე წლის საკავშირო შეჯიბრებაზეც, სადაც დამყარებულ იქნა რამდენიმე მსოფლიო რეკორდი. მაგრამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა ი. ვლასოვის ფენომენალურმა შედეგმა სამჭიდში — 550 კგ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ სსრკ-ში-ს ძალოსანთა მატჩის დროს რომელიც მოსკოვში ჩატარდა, ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის მწვრთნელმა კ. ჯონსონმა, ძალოსანთა საკავშირო ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა ვ. მაქსიმოვმა, ჩვენი ქვეყნის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ი. კუცენკომ ასე იწინასწარმეტყველეს მსოფლიო რეკორდები 1964 წლისათვის.

წონები	ჯონსონი	მაქსიმოვი	კუცენკო
მჩატე	355	357,5	357,5
ქვემსუბუქი	380	382,5	382,5
მსუბუქი	400	405	410
ქვესაშუალო	440	442,5	445
საშუალო	460	465	470
ქვემძიმე	480	480	485
მძიმე	540	545	545

როგორც ხედავთ, ძალოსნობის გამოჩენილი სპეციალისტების პროგნოზებში პირველი შესწორება შეიტანა საბჭოთა გოლიათმა ი. ვლასოვმა, რომელმაც მსოფლიოს რეკორდი 550 კილოგრამამდე აიყვანა.

საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ამოცანები

21 დეკემბერს მოსკოვში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პლენუმმა, რომელიც განიხილავს ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანებს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადწყვეტილებებთან დაკავშირებით.

მოხსენებით გამოვიდა სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ნ. ნ. რომანოვი. მან აღნიშნა, რომ სპორტი ჩვენს ქვეყანაში არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის საგანი, ამიტომ 1965 წლის ბოლოს ჩვენს ქვეყანაში სპორტით მომეცადინეთა რიცხვმა 52 მილიონს უნდა მიაღწიოს. ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა ფიზკულტურა და სპორტი მტკიცედ დანერგონ ყოველ საბჭოთა ოჯახში. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სპორტზე დიდი ზრუნვის შედეგია ის, რომ ამჟამად ამ სასარგებლო საქმიანობაში ჩაბმულია 30 მილიონი ადამიანი, მარტო მიმდინარე წელს დამყარებულია საბჭოთა კავშირის 190, სოლო მსოფლიოს 62 რეკორდი, მაშინ, როცა 1952 წლისათვის საბჭოთა სპორტსმენებს ეკუთვნოდათ მხოლოდ 15 მსოფლიო რეკორდი.

გუშინ სპორტის სასახლეში

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო ფრენბურთში საბჭოთა კავშირის 1962 წლის ჩემპიონატის წინასწარი თამაშების პირველი ტური.

ფრენბურთის ბადესთან პირველად გამოვიდნენ ლენინგრადის „სპარტაკისა" და აშხაბადის „ზახმეტის" ვაჟთა გუნდები. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა — 3:0. მოსკოვის დინამოელმა ქალებმა დაამარცხეს თავიანთი თანაკლუბელები კრასნოდარიდან — 3:2, თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალებმა მოლდავეთის გუნდი —3:0, ხოლო თბილისის „ბურევესტნიკის" ვაჟებმა — ბაქოს „ბურევესტნიკი" — 3:0.

შეჯიბრების პირველი დღის დასწვრილებითი ანგარიში იხილეთ შემდეგ ნომერში.

კუბა, ბოლივია, ეკვადორი

გ. სიხარულიძე,

საქართველოს სხრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე



„280 ათასი არგენტინელი რკინიგზელი მოითხოვს ხელფასის მომატებას“, „ეკვადორელი ხალხი მხარს უჭერს ახალ პრეზიდენტს არისტემენესს“ — „პრავდის“ ფურცლებზე ამოკითხულ ამ პატარა ცნობებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა უკვე ჰოლანდიის თავზე თვითმფრინავში მსხდომ ქართველ ფეხბურთელთა დელეგაციისათვის, რომლის მარშრუტი თითქმის ამ ქვეყნებზე გადიოდა.

განსაკუთრებით გვაინტერესებდა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საშინაო მდგომარეობა, რადგან საბჭოთა კავშირიდან გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე უარი გეითხრეს ეკვადორში გაჩერებაზე, მთავრობაში მომხდარ გადატრიალებასთან დაკავშირებით.

ამსტერდამი, იგივე ჩრდილოეთის ვენეცია ყვავილნარებით, უამრავი არხებითა და ნავებზე აშენებული საცხოვრებელი ბინებით, უკვდავი რემბრანტის ძეგლითა და ოლიმპიური აეიდის სტადიონით. შემდეგ მაინის ფრანკფურტი, სადაც თვითმფრინავიდან გადმოსვლის ნებაც არ მოგვცეს, ციურიხი და ბოლოს ლისაბონი — ტრამპლინი ოკეანეზე გადასახტომად.

ცრის... საკმაოდ სიმპათიური სტიუარდესა ინსტრუქციას გვაცნობს ავარიისა და წყალზე დაშვების შემთხვევაში როგორ გამოვიყენოთ გასაბერი წინსაფრები, ზვიგენთა დასაფრთხობი ხელსაწყოები და სხვა საშუალებანი. არასასიამოვნო შეგრძნებას იწვევს მშვენიერი ლექტორის სიტყვა.

ჰავანა — კარიბიის ზღვის მარგალიტი და რევოლუციური კუბის დედაქალაქი, თაიგულიანი ბავშვები, ფიზკულტურულ მუშაკთა მისალმებანი, რეპორტიორები და გიტარაზე კუბური სიმღერების შემსრულებელი ორი დამხვდური მუსიკოსის აკომპანიმენტი. აქ შუადღეა, თბილისში — შუაღამე.

კარგი შეხვედრა სცოდნიათ კუბელ მეგობრებს. ვერც ქალაქის ცენტრში გაშენებულ სასტუმრო „ჰავანა ლიბრეს“ უპოვნის კაცი ხინჯს. პირველი დღე და პირველი ნაცნობების შეხვედრა. ესენი არიან დანა და ემილ ზატოპეკები, რომლებიც კუბაში რამდენიმე თვით ჩამოსულან მძლეოსნობის წამოსაწევად.

ქალაქის გაცნობა „ლატინო ამერიკის“ სტადიონით დავიწყეთ. აუცილებელი იყო შევჩვეოდით მოედანსა და განათებას, რადგან სამი თამაშიდან ორი მატჩი (16-სა და 22 ნოემბერს) საღამოს ცხრა საათზე უნდა ჩაგვეტარებინა.

საწვრთნელმა ვარჯიშმა კარგად ჩაიარა, მაგრამ სტადიონი, რომელიც ბეისბოლის სათამაშო მოედანი გამოდგა, გადაკეთებას მოითხოვდა ფეხბურთისათვის საჭირო მინიმალური ზომებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეს საქმე კუბელმა ამხანაგებმა ითავეს.

ჰავანაში რამდენიმე სტადიონია, მაგრამ ბეისბოლის მოედნის არჩევა მაყურებელთა დასაჯდომების სიმრავლემ (35.000 ადგილი) გამოიწვია. ესეც არ იყოს, საკითხის გადაწყვეტაში — ბეისბოლი თუ ფეხბურთი?—მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა თბილისის დინამოელთა მატჩს.

ამერიკელ კოლონიზატორთა ბატონობის პერიოდში ფეხმოკიდებული უინტერესო თამაშის ახლახან გამართული ფინალური მატჩების შემდეგ ამავე სტადიონზე შეკრებილი მაყურებლებისათვის უნდა გვეჩვენებინა ფეხბურთის უპირატესობა ბეისბოლზე. ეს უბრალო ამოცანა არ იყო — კოლექტიური თამაში სადღაც პოლიტიკაშიც გადადიოდა.

16 ნოემბერს მატჩის დაწყებამდე ჩვენს საპატივცემულოდ მოეწყო ტანმოვარჯიშეთა საჩვენებელი გამოსვლა და დროშის აღმართვის საზეიმო ცერემონიალი. კუბის სოციალისტური (კომუნისტური) ახალგაზრდობის ორგანიზაციას ყველაფერი გაეკეთებინა, რომ მატჩს სკოლების, ფაბრიკა-ქარხნებისა და უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები დასწრებოდნენ. სტადიონზე ტევა არ იყო.

...დინამოელთა წინააღმდეგ გამოსულმა ჰავანის ფეხბურთელთა გუნდმა, რომელიც ფაქტიურად რესპუბლიკის ნაკრებ გუნდს წარმოადგენდა, ვერ გაუძლო თბილისელთა მიერ შეთავაზებულ ტემპს. სტუმრებმა მასპინძლები ყველა რგოლში შეავიწროვეს და მაყურებლებს ევროპული ფეხბურთის თანამედროვე კლასი აჩვენეს. კუბელებს ვერც მოთამაშეთა ცვლამ უშველა და ანგარიში 8:0 თავისით მეტყველებდა სპორტული მეტოქეების ძალთა თანაფარდობაზე.

სტუმარ-მასპინძლები მეგობრულად ვტოვებთ სტადიონს და ვერევით ხალხში, რომელთა შორის ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით ქართველ მამაკაცთა ტიპიურ წარმომადგენლებს. ბუნებას არაფერი დაუშურებია ამ ულამაზესი კუთხისათვის და იგი უტურფესი ქალებითაც დაუჯილდოვებია.

* * *

რეკლამათა შუქით გაჩირაღდნებული ქალაქი, რომელიც 789 ათას მცხოვრებს დაითვლის, ახალი კონსტრუქციის მრავალსართულიანი ბინებითა და ლარივით სწორი ქუჩებით, მოედნებითა და ღირსშესანიშნავი ადგილებით თამამად გაუწევს კონკურენციას ევროპისა და ამერიკის აღიარებულ ქალაქებს. ჩვენს ფეხბურთელებს განსაკუთრებით მოეწონათ გრანდიოზული აკვარიუმი, რომელსაც დღის სინათლეზე გამოჰქონდა ნეპტუნის სამეფოს საიდუმლოებანი.

მეორე მატჩი, რომელიც 19 ნოემბერს გაიმართა, კოტრიკაძე შევცვალეთ კვასხვაძით. პირველად ითამაშეს სმირნოვმა, რიაბოვმა და ნიკოლაევმაც. საჭირო იყო გავცნობოდით ამ ახალ მოთამაშეებს, რათა გვცოდნოდა თადარიგის მაქსიმალური შესაძლებლობანი სხვა უფრო საპასუხისმგებლო თამაშების წინ.

თბილისელთა მიერ დარტყმულმა ბურთებმა პირველ ტაიმში ოთხჯერ შეარხიეს მოწინააღმდეგის კარის ბადე. ა. ოღოობერიძის მეშვეობით ჩვენებს გადავეცი „თავაზიანობა“ გამოეჩინათ მასპინძლების მიმართ, რათა მაყურებელს გული არ აეყარა მათზე და შედეგით უკმაყოფილოს სულ არ მიეტოვებინა სტადიონი. ამ ხერხმა გასჭრა და შეტევაზე „გადმოსულმა“ კუბელებმა ერთი ბურთის გაქვითვით გულშემტკივართა ხანგრძლივი ტაშის გრიალი დაიმსახურეს. გატანილ გოლს ჩვენებმა ორით უპასუხეს, მაგრამ მაყურებელი მაინც კმაყოფილი იყო მატჩის შედეგით: ამჯერად ხომ მშრალი ანგარიში არა ყოფილა!

მატჩის მეორე დღეს ფიზკულტურულმა მუშაკებმა მთხოვეს წამეკითხა ლექცია სპორტკლუბში საბჭოთა კავშირსა და საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე. ჰავანელ და რაიონებიდან მოწვეულ ამხანაგებს აინტერესებდათ ჩვენი სპორტული მიღწევები, ღონისძიებათა კალენდარი, ფიზკულტურული მუშაობა სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სპორტულ საზოგადოებებში, ჩხატარაშვილსა და იაკუშინსაც მოუხდათ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ფეხბურთის ტექნიკასა და ტაქტიკაზე.

ოთხ საათს გასტანა გამოცდილების გაზიარებამ. სპორტული კლუბი პირველის ნახევარზე დავტოვეთ. შუაღამე გადასული იყო, მაგრამ რეაქციის ბნელ ძალებს არ ეძინათ. ჩვენგან ოთხასხუთასი მეტრის იქით აფეთქდა რომელიღაც მნიშვნელოვანი ობიექტი — ამერიკელ მონოპოლისტთა დაჭაშები ცეცხლს ეთამაშებოდნენ.

მესამე მატჩის წინა დღეს მთელი დელეგაცია მიგვიწვიეს კუბის ფიზკულტურელთა თათბირზე, რომელიც სპორტის სასახლეში ჩატარდა. ამ უდიდესი ნაგებობის ტერიტორია 2 ჰექტარზეა გადაჭიმული, რომელზეც სიმეტრიულადაა განლაგებული ჩოგბურთის კორტები, ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები. სასახლის შენობაშია მოქცეული კეთილმოწყობილი საცურაო აუზები, თანამედროვე იარაღებით აღჭურვილი ტანვარჯიშული და ძალოსნური დარბაზები. სპორტის იდეალური სასახლე — მხოლოდ ასე შეიძლება ეწოდოს მას.

თვრამეტმა ათასმა მონაწილემ, თათბირზე დამსწრე ფიდელ კასტრომ, საკონსულოებისა და დელეგაციების წარმომადგენლებმა ზედა ტანსაცმელი გაიძრეს და დაიწყო დილის გამამხნევებელი ვარჯიშის შესწავლა. მეორე დღიდან 18 ათასი აქტივისტი თავის ორგანიზაციებსა და საწარმოებში შეუდგებოდა ათვისებული ვარჯიშის განზოგადებას.

საქართველოს სპორტსმენთა დელეგაციის თათბირზე მონაწილეობის გამოცხადებას ორკესტრი საზეიმო ტუშით გამოეხმაურა, დარბაზში მსხდომნი კი ხანგრძლივი ტაშით.

ერთი საათის შემდეგ ფიდელ კასტროსთან ვიყავით მიწვეული მის რეზიდენციაში.

* * *

კუბის ეროვნული გმირი სათითაოდ გაეცნო ყველას. საუბარმა ახლო მეგობრული ხასიათი მიიღო, რადგან პრეზიდენტ დორტიკოსს, რომელიც ამას წინათ საქართველოშიც იმყოფებოდა, საკმაო წარმოდგენა შეექმნა მისთვის ჩვენს რესპუბლიკაზე...

საჩუქრად მირთმეულმა ალბომმა თბილისის ხედებითა და ქინძმარაულით სახელდახელოდ შევსებულმა ყანწებმა აღტაცებაში მოიყვანეს კუბის პრემიერი, რომელიც სვანურ ქუდში აღბეჭდეთ ფოტოფირზე.

— ხვალ უნდა დავესწრო მატჩს და მითხარით, რამდენი ბურთის გატანას აპირებთ ჩვენს კარშიო, — მკითხა ხუმრობით მან.

— რამდენიც ხელს არ შეუშლის ჩვენს მეგობრობას, — ვუპასუხე მე.

მესამე მატჩი კვლავ ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ ამაში გასაკვირი არაფერი იყო. ფეხბურთიცა და საერთოდ სპორტის სხვა სახეობებიც მხოლოდ ახლახან იქცა კუბაში ხალხის ფიზიკური აღზრდის საშუალებად. თამბაქოს, რიკისა და ლუდის ქარხნების მფლობელთა ნაცვლად, რომელნი განწყობის მიხედვით აფინანსებენ სპორტულ ღონისძიებებსა და განიზრახავენ, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელობას მშრომელი ხალხის ხელში აიღებ.

ამჟამად კუბის 6 პროვინციაში, რომელიც 126 მუნიციპალიტეტად დაყოფილი, შექმნილია ნებაყოფლობითი სპორტული საბჭოები. ყველა პროვინციას აქვს ფიზკულტურისა და სპორტის საკუთარი კომიტეტი. დღეისათვის კუბაში 5.025 ფიზკულტურულ კოლექტივშია გაერთიანებულია რვაასი ათასი კაცი. კომიტეტები და საბჭოები ასევე ჩვენთია. ფეხბურთის რესპუბლიკური ასოციაცია აერთიანებს ჰავანელას-ვილიასის, ორიენტისა და კამაგუეის პროვინციულ ფედერაციებს. კუბის პირველობა სწორედ მათი გუნდების მონაწილეობით ტარდება ერთ წრედ. კუბაში ამჟამად კულტივირებულია სპორტის 25 სახეობა, მაშინ როდესაც რევოლუციამდე სულს ძლივს ითქვამდა 8 სახეობა.

უკანასკნელი მატჩის შემდეგ, რომელმაც უაღრესად მეგობრული ვითარებაში ჩაიარა, თავისთან მიგვიწვია ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელი ლიანუსამ.

სუვენირთა გაცვლის შემდეგ ჩვენ შევთავაზეთ გვწვეოდა მათი გუნდი საბჭოთა კავშირში და ვუთხარით მასაც, რომ ჩვენი ქვეყნის სპორტკავშირის წინაშე საკითხს დავსვამდით კუბაში სპეციალისტებისა და ცალკეული გუნდების გამოგზავნის შესახებ.

თავის მხრივ ლიანუსა გამოგვიტყდა, რომ მათი მთელი ყურადღება გადატანილია ცენტრალური ამერიკის 1962 წლის სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის, რომელშიც ისინი საპრიზო ადგილების დაკავებას აპირებენ სპორტის რამდენიმე სახეობაში. კუბელებს განსაკუთრებით დიდი სურვილი აქვთ შექმნან ფეხბურთელთა ძლიერი გუნდი. — ეს ფიდელ კასტროს სურვილიცაა, — დასძინა მასპინძელმა და გვიხოვა გაგვეგზავნა მისთვის კინოფირები ფეხბურთის ტექნიკასა და ტაქტიკაზე.

* * *

მცირე ხანში კუბელ ფეხბურთელებს მართლა შეეძლებათ თავიანთი სიტყვის თქმა საერთაშორისო სარბიელზე, რადგან სხვაგან თუ წლები ჭირდება რაიმე მნიშვნელოვანი საქმის დაგვირგვინებას, იქ იგი უბრალოდ და თავისებურად წყდება — მცირე ხანში. ასე მაგალითად, წერა-კითხვის არცოდნის ლიკვიდაციისა-ვის აქ თვითეულ „სწავლულზე“ პერსონალურად მიამაგრეს ოთხ-ოთხი უცოდინარი. ამგვარმა დავალებამ ნაყოფი გამოიღო და სწორედ ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში პროვინციებიდან ჩამოსული პატრიოტები მთავრობას უპატაკებდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

ასევე იყო ტრაქტორისტ ქალთა პირველი კურსების გამოშვების დროსაც: რაიონებიდან ჩამოსული ათასობით კრეოლი ქალი თამამად ჩადგა მუხლუხა მანქანათა მართვის შემსწავლელთა რიგებში.

მოკლედ, რევოლუციის შემდეგ კუბა ნამდვილად გადაიქცა კუბელთა სამშობლოდ და თავისუფლებისმოყვარე ხალხმა მისი ისტორიის უმცირეს მონაკვეთში გრანდიოზულ წარმატებას მიაღწია მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგებში, რაშიც დიდი როლი ითამაშა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილების გაზიარებამ.

(გაგრძელება იქნება).



ხურათზე: ჰავანის ერთ-ერთი კუთხე ზღვის სანაპიროზე.



„თბილისის გამარჯვება“

ახლ ვუწოდე მე მზიური საქართველოს დედაქალაქში მიღწეულ გამარჯვებას — აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას. დაე, ეს იყოს ჩემი გულთბილი გრძნობებისა და სიმპათიების გამოვლინება თბილისელ მაყურებელთა, გულშემატკივართა მიმართ.

ამ გამარჯვებას მე ძლიერ დიდ მნიშვნელობას ვაძლევ. ჯერ ერთი, იგი მოპოვებულ იქნა ბ. შახლინთან ორთაბრძოლაში და თანაც მაშინ, როცა ორივენი ვგრძნობდით საკმაოდ მტკიცე შემოტევას „ქვემოდან“ — ახალგაზრდობიდან, რომლის ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა უკანასკნელ იარაღებამდე საკმაოდ „აგვიშალა ნერვები“. მეორე: ეს გამარჯვება მოპოვებულ იქნა პრაღის მსოფლიო პირველობის წინ, რომლისთვისაც საბრძოლო მზადებასაც წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის 1961 წლის აბსოლუტური ჩემპიონატიც.

გავა ექვსი თვეც და დავა გაგრძელდება „უმაღლეს დონეზე“. ოღონდ, პრაღაში ხაქმე მექნება სხვა ქვეყნების ტანმოვარჯიშეებთანაც. ეს კიდევ უფრო მეტს მავალებს.

ყოველ შემთხვევაში, მე განზრახული მაქვს ამ ექვს თვეში გავაკეთო ყველაფერი იმისათვის, რომ „თბილისის გამარჯვება“ ხიდად გაედოს პრაღისას...

ი. ტიტოვი,
საბჭოთა კავშირის დამსახურებული ოსტატი.

ი. ტიტოვი — პირველი

სპორტულ ტანვარჯიშში ჩვენი ქვეყნის პირველობებს, ჩვეულებრივ, მსოფლიო ჩემპიონატებს უტოლებენ. იგივე ითქმის თბილისში ჩატარებული აბსოლუტური ჩემპიონატის შესახებაც, განსაკუთრებით — ქალთა შორის, სადაც სახეზე იყო საერთაშორისო მნიშვნელობის ყველა „ვარსკვლავი“ და მსოფლიო პირველობის პროგრამაც.

მაგრამ, მონაწილეთა შემადგენლობა და ვარჯიშების პროგრამა ჯერ კიდევ არ შეადგენს მსოფლიო პირველობის ყველა კომპონენტს. და რომ ეს ასეა, საკმარისია მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი ახლახან დამთავრებული აბსოლუტური პირველობიდან: თბილისელმა მაყურებელმა ვერ იქნა და ვერ ნახა ნამდვილი პ. ასტახოვა, რომელიც ყოველთვის მთავარი, ყველაზე უფრო რეალური და საშიში კონკურენტი იყო „ტანვარჯიშის დედოფლის“ — ლ. ლატინინასათვის. მის მიერ მ. ნინოშვილთან ერთად გაყოფილი IX-X ადგილიც სწორედ იმის დადასტურებაა, რომ თბილისის „მსოფლიო პირველობას“ ფაქტიურად აკლდა ერთ-ერთი უძლიერესი მონაწილე... პ. ასტახოვა, და არა მარტო ის. საქმე მხოლოდ დაკავებულ ადგილში არ არის. ლ. ლატინინამ კვლავ მოიპოვა პირველი ადგილი, ხოლო თ. ლიუხინამ მასთან ერთად გაიყო აბსოლუტური ჩემპიონის დიდება, კარგი შედეგები ჰქონდათ თ. მანინას, თ. ივანოვას, ლ. პეტუხოვას... მაგრამ მაინც, უეჭველია, ყოველი მათგანი პრაღის 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გაცილებით მაღლა იდგება იმასთან შედარებით, რასაც ძსინი თბილისში წარმოადგენდნენ.

საქმეც სწორედ იმაშია, რომ ეს აბსოლუტური ჩემპიონატი ზუსტად მსოფლიო პირველობის პროგრამით ჩატარდა და იგი ამავე დროს წარმოადგენდა პრაღისათვის საბრძოლო მზადების თავისებურ ეტაპს, რომ სპორტსმენებს ჯერ კიდევ სავსებით შესისხლხორცებული არა აქვთ ახალი პროგრამა.

მაგრამ, მიუხედავად ზემოთქმულისა, თბილისში ჩატარებულ პირველობას გააჩნდა განსაკუთრებული შტრიხებიც. მას ჰქონდა ორი ისეთი უაღრესად მკაფიო მომენტი, რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონატების ნამდვილი, ჭეშმარიტი „სუნთქვა“ აგრძნობინეს ჩვენს მაყურებლებს.

ეს იყო, პირველად, ლ. ლატინინასა და თ. ლიუხინას უჩვეულოდ დრამატული და მწკავე „დუელი“ ჩემპიონატის ფინიშზე, რომელიც ორი თვალსაზრისით გვაგრძნობინებდა საერთაშორისო მასშტაბის დიდ ასპარეზობას: უკიდურესი დაძაბულობით და პრეტენდენტთა თითქმის უმაღლესი ოსტატობით. რჩებოდა ერთადერთი იარაღი, ხოლო „ტანვარჯიშის დედოფალი“ 0,1 ქულით აგებდა მეტოქესთან (თანაც, ლიუხინას მას შემდეგ უწევდა გამოსვლა!..). ამ კრიტიკულმა მდგომარეობამ ბედნიერი შემთხვევა მისცა თბილისელ მაყურებელს ენახა ლ. ლატინინა თავის „უმაღლეს დონეზე“. სპორტსმენი ჩვენს თვალწინ იქცა რაღაც ერთიან მიზანსწრაფვად, ნერვებისა და საუკეთესო თვისებათა უაღრეს „შემკრივებად“. და აი, დაიწყო ისეთი დახვეწილი და უბადლო მოძრაობანი, ისეთი უმაღლესი სპორტული ხელოვნება, რომლებიც ძალაუნებურად იწვევენ „პოეზიისა“ და „პოეტურობის“ შედარებებს. 9,85 ქულა, მოპოვებული ლ. ლატინინას მიერ თავისუფალ ვარჯიშში, ეს იყო ნამდვილად უმაღლესი კლასის გამოხატულება.

იყო მეორე მომენტიც — ამჯერად, ვაჟთა ასპარეზობაში. მაგრამ, სანამ მასზე შევჩერდებოდეთ, მკითხველისათვის საინტერესოა, თუ როგორ მიმდინარეობდა თვით ეს ასპარეზობა.

ჩვენ არ გვგონია სპორტის სასახლეში მყოფ გულშემატკივართაგან თუნდაც ერთს შეპარვოდა ეჭვი იმაში, რომ საპრიზო სამეულში მოხვდებოდა სხვა ვინმე, გარდა ი.ტიტოვისა, ბ. შახლინისა და ი. ცაპენკოსი. შეიძლება, მოსალოდნელი იყო ცვლა მხოლოდ მათს შორის.

ეს მოხდა მხოლოდ მე-8—მე-9 იარაღის შემდეგ, ბ. შახლინი ჯერ დაეწია ი. ტიტოვს (75,65 ქულა თვითეულს), ხოლო შემდეგ გაუსწრო კიდეც მას 0,1 ქულით (85,1). ეს მოხდა რგოლებზე. ამავე იარაღზე მოულოდნელი მარცხი განიცადა ი. ცაპენკომ — შეფერხდა ერთ-ერთი ელემენტის შესრულებისას და დაკმაყოფილდა მხოლოდ



პ. ასტახოვა

ბ. ბურუჩევა

9,15 ქულით. ამის შემდეგ მისი შანსებიც საბოლოოდ შეირყა. მით უმეტეს, რომ წინ იყო იარაღები, რომლებზეც ცაპენკო აშკარად „თმობს“ — ღერძი და ბჯენითი ხტომები. მართლაც, ხტომებში მან მიიღო 9,2, ღერძზე—8,8 და იძულებული გახდა შერიგებოდა მხოლოდ მესამე ადგილს.

ჩავარდნა განიცადა ნ. მაკალათიამაც. მაგრამ, ი. ცაპენკოსაგან განსხვავებით, ეს არ იყო მისთვის „უსიამოვნო“ იარაღის შედეგი: ნ. მაკალათია ერთნაირი ძალისაა თითქმის ყველა იარაღზე, მათ შორის, ორძელზეც. და სწორედ ორძელზე მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა: მან გამოტოვა მთელი ციკლი — წინქნევით ბრუნი, გაკეთა ზედმეტი ჭანი და ამის გამო მკაცრადაც დაისჯა — 8,55 ქულა. ამ მარცხს მიემატა მეორეც — ღერძიდან ჩამოხტომისას არასრულფასოვანი მალაყი — 8,85 ქულა. ასე, სწორედ ფინიშთან დათმო ჩვენმა ახალგაზრდა ტანმოვარჯიშემ მეოთხე ადგილი, რომელიც მას მტკიცედ, ეკავა. „მხოლოდდამხოლოდ ნერვების ბრალია! — განმარტა შემდეგ მისმა მწვრთნელმა ნ. ბახუტაშვილმა, — ნოდარმა მორალურად ვერ გაუძლო ტურნირის დაძაბულობას“. ჩვენის აზრით, ასეთივე ფაქტორმა განაპირობა რ. კაპახიძის ჩამოჭვეითებაც მას შემდეგ, რაც იგი შეშვიდ ადგილზე გამოვიდა.

მაგრამ, ამ ჩავარდნებს მიუხედავად, დაკარგული მე-4 და მე-7 ადგილების მიუხედავად, ჩვენ მხოლოდ კმაყოფილება შეგვიძლია გამოვთქვათ ნ. მაკალათიას და რ. კაპახიძის მიერ მიღწეული შედეგების გამო. ორივე ქართველი ტანმოვარჯიშე ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და მთელი მომავალი წინა აქვთ. ოღონდ, მას მაშ ნ ექნება აზრი, თუ ნ. მაკალათია და რ. კაპახიძე კიდევ უფრო მეტის მონდომებით, სისტემატურად იმუშაებენ თავიანთ თავზე, განუხრელად აიმაღლებენ სპორტული ოსტატობის დონეს.

ამრიგად, ბ. შახლინი ან ი. ტიტოვი!... ხტომების შემდეგ მდგომარეობა ისევ შეიცვალა. 9,7 ქულამ ახლა ტიტოვს მოუტანა 0,1 ქულის უპირატესობა. ორძელზე იგი კიდევ უფრო გაიზარდა: ბ. შახლინი დაკმაყოფილდა მხოლოდ 9,25 ქულით, ხოლო ტიტოვმა მიიღწია 9,65 ქულას, საერთო ჯამში კი — 104,35 ქულას. ამ იარაღზე, ღერძზე ვარჯიშის წინ, უკვე გადაწყდა აბსოლუტური ჩემპიონობის ბედი. ბ. შახლინი, რომელსაც 103,85 ქულა ჰქონდა, მეტოქის 9,55 ქულის შემდეგ ვერავითარ შემთხვევაში ვეღარ ეწეოდა ლიდერს. და აქ თბილისელმა მაყურებლებმა კვლავ იხილეს მსოფლიო პირველობის ნამდვილი მონაწილე მთელი თავისი კომპონენტებით. ეს იყო შახლინი.

სპეციალისტებმა ეს გარემოებაც მორალური ფაქტორით ახსნეს: ბ. შახლინს, ამ „რკინის ადამიანსაც“ კი უკვე აღარაფერი ჰქონდა დასაკარგი და საფიქრებელი. ის შეურიგდა მეორე ადგილს და გადაწყვიტა თავისებური ანაზლაურება მოეპოვებინა მორალურ სფეროში. და მან მოიპოვა კიდეც! ეს იყო ოვაციები, რომლითაც იგი გააცილეს ღერძზე ვარჯიშის შემდეგ.

ჩვენ არ ვიცით, რა სიტყვებით შეიძლება გადმოიცეს ეს რაღაც ჯადოქრული ვარჯიში, მაგრამ როცა სპორტსმენმა იგი დაამთავრა, რატომღაც უნებურად აგვეკვიატა ეპითეტი, რომლითაც რუმინელებმა სახელგანთქმული ბორის პაიჭაძე შეამკეს — „ფეხბურთის კარუზო“. ნამდვილად, ეს იყო კარუზო — ვირტუოზი ღერძზე. ეს იყო ბორის შახლინი!

შ. ჯუღელი

• • •

ტექნიკური უდიდესები

ქალები — ლ. ლატინინა, თ. ლიუხინა — 76,4, თ. მანინა — 75,35, თ. ივანოვა — 75,2, ლ. პეტუხოვა — 75,15, ვ. ვოლჩეცკაია — 74,85, ი. პერეკუშინა — 74,8, მ. ნიკოლაევა — 74,25, მ. ნინოშვილი, პ. ასტახოვა — 74,2.

ვაჟები: ი. ტიტოვი — 113,9, ბ. შახლინი — 113,75, ი. ცაპენკო — 112,45, ვ. ლეონტიევი — 111,8, ი. მაკურინი — 111,65, ნ. მაკალათია — 110,95, გ. მიხაილოვი — 110,7, რ. კაპახიძე — 110,65, ი. იახოუკინი — 110,35, ი. საბიროვი — 109,3.

• • •

საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონატი ტანვარჯიშში.

სურათებზე: მარცხნივ — მ. ნინოშვილი ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს. მარჯვნივ — ი. ტიტოვი აღმატრიალს ასრულებს ღერძზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



სეზონში პირველი

ბაკურიანი. (ჩვენი სპეც. კორ.). გასულ კვირას ბაკურიანში დაიწყო ჩვენი გაზეთის პრიზის რიგით მეხუთე გათამაშება მიძღვნილი რესპუბლიკაში სათხილამურო სეზონის გახსნისადმი. ეს ღონისძიება ამავე დროს არის ჩვენი სპორტსმენების ძალთა ერთგვარი შემოწმება სსრ კავშირის ხალხთა I ზამთრის საკავშირო სპარტაკიადისათვის.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და ფიზკულტურული კოლექტივების გუნდები, საზ-გადაეგებს შორ-ს ერთმანეთს ებრძვიან „ბურევესტნიკის“, „კოლმეურნისა“ და „განთიადის“ გუნდები, ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის — ფიზკულტურის ინსტიტუტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ბათუმის ქარხანა „ელექტროკარის“, მესტიის საშუალო სკოლისა და ბაკურიანის მელიების საბჭოთა მეურნეობის გუნდები. შეჯიბრება გახსნეს 15 კმ-ზე მორბენალმა ვაჟებმა. სტარტზე გამოვიდა 35 სპორტსმენი, ბრძოლაში ერთდროულად ჩაებნენ როგორც მორბენლები, ისე ორეიდოსნები. საუკეთესო დრო აჩვენა „კოლმეურნის“ გუნდის წევრმა ნ. ტროფიმოვმა — 57.07.

ვაჟთა შემდეგ შეჯიბრებაში ჩაებნენ 5 კმ-ზე მორბენალი ქალები, რომლებსაც იგივე ტრასა ჰქონდათ გასავლელი. პირველი ადგილის ძირითად პრეტენდენტებს ვ. იურკინას (ბათუმი, „განთიადი“) და ვ. გავას (ბაკურიანი, „კოლმეურნე“) მოუგო ამ შეჯიბრებაში პირველად მონაწილემ კ. კრუგლოვამ („ბურევესტნიკი“), რომელმაც დაიკავა კიდეც პირველი ადგილი — 22:48. იურკინა და გავა გამოვიდნენ მომდევნო ადგილებზე.

ნაშუადღევს ასპარეზი გადატანილ იქნა კოხტა გორაზე, სადაც გათამაშდა პირველობა სლალომში. აღსანიშნავია, რომ ამჯერად აქ თავი მოიყარა მონაწილეთა დიდმა რაოდენობამ. 230-მეტრიანი ტრასა, რომელზეც მოწყობილი იყო 35 კარი, პირველ ცდაზე ყველაზე მცირე დროში განვლო შ. კოზანაშვილმა (ბაკურიანი, „კოლმეურნე“) 31,0 წამი. 1,1 წამით ჩამორჩნენ ლიდერს ი. ჯანგობეგოვი („დინამო“) და გ. აბრამაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

მეორე ცდაზე ი. ჯანგობეგოვმა 26 წამში დაამთავრა ტრასა და ორი ცდის ჯამში გაინაღდა პირველობა. მეორეზე გამოვიდა შ. კოზანაშვილი, მესამეზე — გ. აბრამაშვილი. ამავე შეჯიბრებაზე გათამაშდა საშუალო სკოლის მოსწავლეთა თავისებური პირველობაც, სადაც უძლიერესი იყო მესტიელი ბ. კახიანი. მეორე ადგილზე გამოვიდა ბაკურიანის სკოლის VII კლასის მოსწავლე ვ. მიქაბერიძე. ორივე სპორტსმენს კარგი მომავალი აქვს. ქალთა შორის 210-მეტრიან ტრასაზე (25 კარი) გაიმარჯვა ქ. ჯეირანაშვილმა („კოლმეურნე“) — 1.09,1. მეორეზე გამოვიდა განთიადელი ქ. ბანდური — 1.11,5. მესამეზე — ა. ქურდოღლიანი („ბურევესტნიკი“) — 1.12,6.

პირველი დღის შემდეგ სპორტსაზოგადოებებს შორის წინ არიან „კოლმეურნის“ მოთხილამურეები, ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის — ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი.

ო. გელაშვილი

* * *

სურათზე: შეჯიბრების მონაწილე ა. ქუმარიტაშვილი დისტანციაზე.

რ. ემერსონი — ავსტრალიის ჩემპიონი

დიდი სიმწვავით გამოირჩეოდა ბრძოლა ავსტრალიის ჩემპიონატში, რომელშიც უძლიერესი ჩოგბურთელები მონაწილეობდნენ ფინალში გავიდნენ უიმბლდონის შარშანდელ ტურნირში გამარჯვებული ნილს ფრეზერი და რონ ემერსონი. ფრეზერი, რომელიც შარშან მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელად ითვლებოდა მოყვარულთა შორის, წელს ბევრს, მაგრამ განსაკუთრებული წარმატების გარეშე თამაშობდა. ძალზე უფერულად ჩაატარა მან უიმბლდონის წლევანდელი ტურნირი, სადაც ვერ შეძლო საპრიზო ადგილების დაკავება. ადრე ფრეზერს ბევრს ეპატიჟებოდა თავის ცნობილ „ცირკში“ პროფესიული ჩოგბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ჯეკ კრამერი, მაგრამ მხარეები ვერ შეთანხმდნენ გასამჯელოში, წელს ფრეზერის „ჩავარდნამ“ უიმბლდონში, ხოლო შემდეგ მისმა წარუმატებელმა ტურნემ დასავლეთ ევროპაში, კრამერს იმედი გაუცრუა და ავსტრალიელი ჩოგბურთის ყოფილი „ვარსკვლავი“ კვლავ მოყვარულად რჩება.

სამაგიეროდ, 1961 წელს ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია რონ ემერსონმა. მან მოიგო რამდენიმე თვალსაჩინო საერთაშორისო ტურნირი როგორც ევროპაში, ისე ავსტრალიაში. მიმომხილველთა აზრით, ემერსონი არ ჩამოუვარდება უიმბლდონის წლევანდელ შეჯიბრებაში გამარჯვებულ როდ ლეიერს. ყოველ შემთხვევაში, ბევრმა გამოჩენილმა სპეციალისტმა მსოფლიოს პირველ ჩოგბურთელად მოყვარულთა შორის სწორედ ემერსონი დაასახელა. ბევრს სწერენ იმის შესახებ, რომ ემერსონი და ლეიერი მალე გადადიან კრამერის „ცირკში“, მაგრამ ჯერჯერობით ორივე ავსტრალიაში რჩება და მონაწილეობს მოყვარულთა შეჯიბრებაში.

რედაქტორი ი. უგულავა.

სურათზე: თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც გაიმარჯვა შიდასასკოლო და საქალაქო პირველობებზე (შუაში — გუნდის მწვრთნელი ს. სიხარულიძე).

ფოტო ი. იუნაევისა.

ჯ. გრივსის საკითხი ნათელი არაა

ევროპის ფეხბურთის ფედერაციამ (უეფა) ინგლისის ჩემპიონ „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ (ლონდონი) აცნობა, რომ მას ეკრძალება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩებში 1 მარტამდე გამოიყვანოს ჯ. გრივსი, რომელიც ახლახან დაბრუნდა ინგლისში. კერძოდ, გრივსი ვერ ითამაშებს „ტოტენჰემის“ მეთხუთმეტფინალურ მატჩებში ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონის — „დუკლას“ წინააღმდეგ. ამის მიზეზია ის, რომ გრივსი უკვე თამაშობდა იტალიის კლუბ „ინტერნაციონალის“ შემადგენლობაში.

ამ დღეებში ლონდონში გამოქვეყნდა იმ 25 ფეხბურთელის სია, ოომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის წინ გაივლიან შეკრებას ეროვნულ ნაკრებში, ყველაზე მოულოდნელია ის, რომ სიაში არ არის ჯ. გრივსი, თუმცა იგი ინგლისის უძლიერეს ფეხბურთელადაა აღიარებული. ამასთან, მწვრთნელი უ. უინტერბოტომი არაერთხელ აცხადებდა, რომ მას გრივსის იტალიიდან დაბრუნება სურს ნაკრების გასაძლიერებლად.

ჯერჯერობით გრივსის მაგივრად ნაკრებში ითამაშებს შუამარბი რობსონი, მაგრამ ჟურნალისტების აზრით მალე „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ფეხბურთელმა უნდა დაიბრუნოს თავისი კუთვნილი ადგილი.

ტრიბუნებზე 1500 000 მაყურებელი

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის VII გათამაშება ფეხბურთში დიდ ინტერესს იწვევს. ამასთან, წლევანდელი შეჯიბრების შემადგენლობა უდაოდ აღემატება წინა შეჯიბრებებს. საყურადღებოა, რომ დღემდე მატჩებს სულ დესწრო 1.500 000 მაყურებელი. ეს თვალსაჩინო ციფრია დასავლეთ ევროპისათვის, სადაც მუდმივად უჩივიან მაყურებელთა ნაკლებობას, რეკორდი იქნა დამყარებული ავსტრიის ჩემპიონ „აუსტრიასა“ და თასის მფლობელ „ბენფიკას“ ორ მატჩში. ვენის შეხვედრას ესწრებოდა 80 ათასი მაყურებელი, ხოლო რევანშს ლისაბონში — 68 ათასი მაყურებელი.

კატოვიცე. აქ ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში. პირველი ადგილი დაიკავა ჩეხოსლოვაკიის გუნდმა „ბანიკმა“ (ოსტრავა), რომელმაც გადამწყვეტი მატჩები მოუგო „გურნიკს“ (კატოვიცე)—5:3 და ჩჩა-ს (ბუქარესტი) — 4:2.

ბუდაპეშტი. გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი კრივში უნგრეთისა და პოლონეთის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის. ანგარიშით 12:8 გაიმარჯვეს უნგრელებმა.

ვენა. ადგილობრივი ნაკრები ორ მატჩში შეხვდა ზაგრების კალათბურთელთა ნაკრებ გუნდს. ორივე მატჩში მოიგეს ავსტრიელებმა: ვაჟთა შორის — 93:65 და ქალთა შორის — 51:48.

პეკინი. დამთავრდა ჩინეთის ჩემპიონატი კალათბურთში. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ჩინეთის სახალხო არმიის გუნდებმა.

ლისაბონი. აქ გაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა (ვაჟთა შორის) თასის გათამაშების მატჩი „იგნისსა“ (იტალია) და „ბენფიკას“ (პორტუგალია) შორის. ანგარიშით 73:49 გაიმარჯვეს იტალიელებმა.

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების უძლიერეს მძლეოსნად გამოცხადებულ იქნა მსოფლიო რეკორდსმენი რალფ ბოსტონი.

ბრაღა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები ხელბურთში ქალთა და ვაჟთა შორის სტუმრად იმყოფებოდნენ ბრაღაში. გერმანელმა ვაჟებმა მატჩი მეტად შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ წააგეს ანგარიშით 14:16, ხოლო ქალებმა განიცადეს დამარცხება ანგარიშით 2:7.

ბირმინჰამი. გრძელდება დიდი საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში იმ ქალაქებს შორის, რომლებიც საერთაშორისო ბაზრობებს მართავენ. ინგლისის პირველი ლიგის კლუბმა „ბირმინჰამ სიტიმ“ ანგარიშით 1:0 სძლია ესპანეთის პირველი ლიგის გუნდს „ესპანიოლს“ (ბარსელონა), მაგრამ იმის გამო, რომ ესპანელებმა პირველი მატჩი დიდი ანგარიშით (5:2) მოიგეს, „ესპანიოლი“ მონაწილეობას მიიღებს ტურნირის შემდგომ სტადიაში.

ფლორენცია. ევროპის ქვეყნების თასის მფლობელმა „ფიორენტინამ“ თავის მოედანზე ამხანაგურ მატჩში მიიღო თურქეთის ფეხბურთელთა ცნობილი გუნდი „ფენერბახჩე“. მატჩი მოიგეს მასპინძლებმ, ანგარიშით 2:1.

სამხრეთ ამერიკაში ტურნეს განაგრძობს უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. უნგრელებს მორიგი მატჩი ჰქონდათ ურუგვაის ნაკრებთან.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

სოფია. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ბულგარეთისა და იაპონიის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდები. ორივე მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ანგარიშით 5:3 და კლასიკური სტილით მოჭიდავეებმა ანგარიშით 6:2.

დღეს!



ფრენბურთში 1962 წლის საკავშირო პირველობის წინასწარი თამაშები

მონაწილეობენ: ქალები — „დინამო“ (მოსკოვი). „ბურევესტნიკი“ (თბილისი), მოლდავეთის გუნდი, „დინამო“ (კრასნოდარი), ვაჟები — „ბურევესტნიკი“ (ბაქო), „სპარტაკი“ (ლენინგრადი), „ბურევესტნიკი“ (თბილისი), „ზენიტი“ (აშხაბადი).

დასაწყისი 16 საათზე.

26 დეკემბერი

სახელმწიფო ცირკის შენობაში საქალაქთაშორისო მატჩი კრივში

თბილისი-მინსკი

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის, სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. **რედაქციის** მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12. **დეპეშებისათვის** — თბილისი, „ლელო“, **ტელეფონები:** რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04150